ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის წარმომადგენლობა

ҚЫРҬТӘЫЛА
МРАГЫЛАРАТӘИ ҚЫРҬТӘЫЛАҨЫ АҨСНЫ АВТОНОМТӘ АРЕСПУБЛИКА
АИҲАБЫРА АХАҬЫНРАКРА

N 01/1087
10/12/2018

1087-01-2-201812101304

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის 2018 წლის ანგარიში საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობის შესახებ

საანგარიშო პერიოდში (03.01.2018 წ. – 10.12.2018 წ.) აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა საქმიანობას ახორციელებდა საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე, მათ შორის საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' ნორმების მოთხოვნათა დაცვით.

საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 49–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოვადგენთ ანგარიშს აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე:

ა) საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 17 (ჩვიდმეტი) წერილი, საჯარო ინფორმაციის შესწორების შეტანის მოთხოვნით - 0;

ბ) დადებითი პასუხით დაკმაყოფილდა 17 (ჩვიდმეტი) წერილი, ხოლო უარყოფითი პასუხით 0;

გ) წარმომადგენლობამ ყველა შემთხვევაში საჯარო ინფორმაცია გასცა უსასყიდლოდ;

დ) საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა დისციპლინური სახდელის დადება;

ე) წარმომადგენლობას გააჩნია წარმომადგენლობის მოხელეთა პერსონალურ მონაცემების, კონკურსანტთა და სტაჟიორთა პერსონალურ მონაცემების შემცველი ბაზა, ასევე, ბაზა რომელიც შეიცავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა პერსონალურ მონაცემებს. ზემოაღნიშნულ ბაზებზე წვდომა გააჩნიათ წარმომადგენლობის შესაბამისს სტრუქტურულ ერთეულებს (პასუხისმგებელ პირებს);

ვ) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებაზე უფლებამოსილი საჯარო მოხელეა - აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის აპარატის იურიდიული, კადრებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი - დავით ჭედია.

დემურ კეკელია

წარმომადგენლობის ხელმძღვანელი

ხელმძღვანელობა

საქართველო, 0102 ქ. თბილისი, კ. ხეთაგუროვის ქ. №2 ტელ.: 295-32-89 ფაქსი: 296-64-53 ელ. ფოსტა: amtsar7@gmail.com